

ხელოვნება

მოსწავლის წიგნი



ხელოვნება 3
მოსწავლის წიგნი

ავტორები: ნანა იოსელიანი, სოფიო ქებურია

რედაქტორი ელენე ბერიაშვილი
დიზაინერი ია მახათაძე
ტექნიკური დიზაინერი გიორგი ლომსაძე

პირველი გამოცემა, 2024
© სულაკაურის გამომცემლობა, 2023
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-37-558-3

ART 3
Student's Book

© Sulakauri Publishing, 2024
all rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

სარჩევი

ხელოვნება მარადიულია 4

ბუნების პალიტრა

1. ცისარტყელა	8
2. ექსვი ფერი.....	12
3. ყვითელი.....	14
4. ნარინჯისფერი	18
5. ცეცხლის ფერები.....	20
6. წითელი.....	22
7. კაშკაშა წითელი.....	24
8. იისფერი	26
9. იისფერი სამყარო	28
10. ლურჯი	30
11. ლურჯი და განწყობა	32
12. მწვანე	34
13. მწვანე სამყარო	36
რა ვისწავლე?	38

მხატვრის დღიური

14. ჩანახატი.....	42
15. გრაფიკა.....	44
16. როგორ გაჩნდა ფანქარი	46
17. რა შეუძლია ფანქარს	48
18. შტრიხი	50
19. ესკიზი	54
20. უბის წიგნაკი	58
21. მოგზაურის დღიური.....	60
22. დასურათებული წერილები.....	64
23. ესეც გრაფიკაა.....	66
რა ვისწავლე?	68

გაქვავებული ისტორია

24. რა არის ქანდაკება	72
25. ქანდაკების წინაპრები.....	74
26. გამოძერწილი ისტორია.....	76
27. Homo sapiens	78
28. ოჯახი	80
29. ესკიზი და ქანდაკება	82
30. სახელოსნო	84
31. ნეცკე	86
32. ოკიმონო	88
33. ნი ჰაო	90
34. ფაიფური	92
რა ვისწავლე?	94


საიდან მოდის იდეა?

35. არქიტექტორობანა	98
36. არქიტექტონები	100
37. არქიტექტურა და ბუნება.....	102
38. არქიტექტურა და მხატვრობა.....	104
39. არქიტექტურა და ქანდაკება	108
რა ვისწავლე?	110

წვრილად მოყოლილი ამბები

40. ძველი ამბები	114
41. ჩვეულებრივი ამბები	118
42. ნაცნობი ამბები	122
43. ძველი თბილისი.....	124
44. წარსულის ამბები	126
45. მონატრება.....	130
46. ქუჩის ამბები	132
47. შავ-თეთრი ამბები.....	134
რა ვისწავლე?	136

ხელოვნება მარადიულია



ჰიპოკრატეს ქანდაკება

ძველ საბერძნეთში ცხოვრობდა განთქმული ექიმი და სწავლული, სახელად ჰიპოკრატე.

ჰიპოკრატეს უთქვამს:

ARS LONGA, VITA BREVIS – „ხელოვნება მარადიულია, ცხოვრება – ხანმოკლე“.


ჰიპოკრატემ იგულისხმა ოსტატობა მედიცინაში, მეცნიერებაში, ხელოვნებასა და სხვა დარგებში, მაგრამ ამ ლათინურ ფრაზას ხშირად მხოლოდ ხელოვნებას უკავშირებენ.

ყოველი ხელოვანი საქმის სიყვარულითა და თავდადებული შრომით უკვდავყოფს საკუთარ ნამუშევარს.

ისაუბრე


- ა. როგორ გესმის ჰიპოკრატეს გამონათქვამი?
- ბ. გაიხსენე რაიმე ისეთი, რაც დიდი ხნის წინ შეიქმნა და დღემდე გვახსოვს.
- გ. მოიყვანე მსგავსი მაგალითები სხვადასხვა სფეროდან.

ჰიპოკრატეს გამონათქვამით გააკეთეთ პოსტერი.



მასალა:

- დიდი ზომის ქაღალდი
- სახატავი ფურცლები
- ფერადი ფურცლები
- ფანქარი
- ფლომასტერები
- მაკრატელი და ნებო



1. გაინაწილეთ წინადადების ასოები, შეათანხმეთ მათი ზომა.
2. ასოების თანაბარი ზომის დასაცავად ფანქრით მკრთალად გაავლეთ ორი პარალელური ხაზი.
3. ხაზებს შორის ჩახატეთ ასოების კონტურული გამოსახულებები.
4. გააფერადეთ და მოხატეთ ასოები.
5. გამოჭერით ასოები და დიდ ფურცელზე ააწყვეთ ჰიპოკრატეს გამონათქვამი.
6. დაწებებულ ასოებს შემოავლეთ მსხვილი კონტური.
7. გაუკეთეთ გამონათქვამს ლამაზი ჩარჩო.
8. ჩამოკიდეთ პოსტერი საკლასო ოთახში.

ლექსიკონი

პოსტერი – დიდი ზომის ნამუშევარი ტექსტით და ნახატებით.

კონტური – ფორმის გარშემო შემოვლებული ხაზი.

პარალელური – ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებული ხაზები ან სიბრტყეები.



ბუნების პალიტრა

სამყარო ჭრელია და ფერადი. ფერი ხან მჭახეა, ხან – მკრთალი, ხან ნათელია, ხან – ბნელი. ფერმა შეიძლება გაგახალისოს, აგაფორიას ან დაგამშვიდოს.

ფერის თვისებების ცოდნა დაგეხმარება, ამოიცნო სხვისი და გამოხატო შენი გრძნობები, განწყობა, შთაბეჭდილებები. აი, ზუსტად ისე, როგორც მუსიკის ჰანგებით.

ცისარტყელა



სამყაროში უამრავი ფერია. მთელი ეს მრავალფეროვნება სულ შვიდი ფერიდან იბადება. შვიდივე ცისარტყელაზე მოკალათებულა.

დიდი ხნის წინ, ინგლისელი მეცნიერი ისააკ ნიუტონი სინათლის თვისებებს იკვლევდა. მან აღმოაჩინა, რომ თუ სხივს გამჭვირვალე შუშის პრიზმაში გაატარებ, იგი შვიდი სხვადასხვა ფერის სხივად „დაიშლება“.

ცისარტყელა ჩნდება მაშინ, როცა მზე პირს იბანს – ერთდროულად წვიმს და მზეც ანათებს. ამ დროს ჰაერი წვიმის წვეთებითაა გაჟღენთილი. მზის სხივი წყლის პანაწინა წვეთების ზედაპირიდან შვიდ ფერად აირეკლება. ცისარტყელა რომ დავინახოთ, მზე ზურგს უკნიდან უნდა ანათებდეს.



ცისარტყელა ყოველთვის შვიდფერია.

ცისარტყელას ფერები ყოველთვის ერთი თანმიმდევრობითაა დალაგებული.

ცისარტყელა ყოველთვის რკალია.

ლექსიკონი

პრიზმა – პირამიდის მსგავსი გამჭვირვალე სხეული.

ცისარტყელას რკალის გარე ზოლი ყოველთვის წითელია, შიდა კი – იისფერი.

ცისარტყელას რკალის გარეთ ცა უფრო მუქი ჩანს, ვიდრე რკალის შიგნით.

1. დავალება

აპლიკაციის ტექნიკით გააკეთე ყვავილი.

ფერადი ჟურნალებიდან გამოჭერი ყვავილის ფურცლები. დაალაგე და დაანებე ფურცლები ცისარტყელას ფერების თანმიმდევრობით.



2. დავალება

მასალა:

- გუაშის საღებავები
- ერთჯერადი თეფში
- სახატავი ფურცელი
- ღრუბელი

ერთჯერად თეფშზე ცისარტყელას ფერების თანმიმდევრობით დაასხი გუაშის საღებავები.

ჩაანე საღებავში ღრუბლის ან მუყაოს ნაჭრის კიდე. გაუსვი საღებავიანი ღრუბელი ფურცელს.

ა. რა გამოგივიდა?

ბ. რას დაამატებ ნახატს?



3. იმსჯელე

გაიხსენე, რა ჰქვია სურათს, რომელზეც ბუნების ხედია ასახული.

- ა. როგორ ფერებს ხედავ?
- ბ. რა განწყობას ქმნიან ეს ფერები?



კავასე ჰასუი, „შემოდგომის ცისარტყელა“



ჯონ კონსტებლი, „პეიზაჟი ცისარტყელათი“

4. დააკვირდი

- ა. რა ფერისაა ცისარტყელა თითოეულ პეიზაჟზე?
- ბ. ბუნების რა კანონები დაარღვიეს მხატვრებმა სურათებში?



უტაგავა კუნიოში, „პეიზაჟი ცისარტყელათი“



ფრიდრიხ კასპარ ღავიდი, „პეიზაჟი ცისარტყელათი“


ექვსი ფერი

1. უპასუხე

- ა. რა აფერადებს სამყაროს?
- ბ. როგორი იქნებოდა სამყარო ფერების გარეშე?
- გ. რა არის საერთო სიტყვებში „ყველაფერი“, „არაფერი“, „ფერადი“ ან „უფერული“?

ბუნებაში იმდენი ფერია, რამდენი ვარსკვლავიცაა ცაზე. ფერები სულ ექვსი ფერიდან იზადებიან. საიდანღა ჩნდება ეს ექვსი? მათ შორის მთავარი მხოლოდ სამი – წითელი, ყვითელი და ლურჯი ფერი ყოფილა. თურმე სამყაროს სწორედ ეს სამი ფერი აფერადებს.

რა ფერებიც არ უნდა შეურიო ერთმანეთს, ვერაფრით ვერ მიიღებ ყვითელს, წითელს და ლურჯს. ამ სამი ფერით კი ნებისმიერი სხვა ფერის შედგენა შეიძლება. ამის გამო წითელს, ყვითელსა და ლურჯს **ძირითადი** ფერები ეწოდათ, მათი შეზავებით მიღებულ ფერებს კი – **შედგენილი**.



- რა ფერები აკლია ფერების ბორბალს?

მეცნიერები თვლიან, რომ შავი და თეთრი არ არის ფერი. თეთრი სინათლეა, შავი – სიბნელე.

თეთრის და შავის ნაზავი კი რუხია. ამიტომაც არ არიან ისინი არც ცისარტყელაზე და არც ფერების ბორბალზე.

2. ჩაატარე ცდა

ფერების ბორბალზე არც ყავისფერს მოეძებნა ადგილი.

- ა. რა ფერებით მიიღებ ყავისფერს?

შეაზავე ნებისმიერი სამი ფერი.

- ბ. რა ფერი მიიღე?
- გ. რა ფერს მიიღებ ოთხი ფერის საღებავის შეზავებით?



ალექსანდრ კალდერი, „სე“



ანრი მატისი, „ქალი ყვითელი კაბით“



ჟოან მირო, „ქოლგა“

3. დააკვირდი

- ა. რომელი სურათია შესრულებული მხოლოდ ძირითადი ფერებით?
- ბ. რომელს შეეპარა შედგენილი ფერი?
- გ. მოძებნე და დაასახელე ეს ფერი.
- დ. რა ფერის კონტური შემოავლეს მხატვრებმა ნახატებს?



4. სავარჯიშო

დახატე სურათი მხოლოდ ლურჯი, წითელი და ყვითელი ფერის საღებავებით ისე, რომ მათი შეზავებით სხვა ფერები მიიღო.

აღწერე, როგორ ფერებს ხედავ? დაახასიათე ეს ფერები.

- რომელმა ფერმა მიიქცია შენი ყურადღება?
- როგორი ფერები ქარბობს – თბილი თუ ცივი? ღია თუ მუქი?
- რა განწყობას ქმნიან ეს ფერები?
- როგორ ხაზებს ხედავ?
- რა ხერხით გამოყო მხატვარმა მთავარი – ფერით, ხაზით თუ ზომით?
- სურათი გრძივად ხატია თუ განივად? რატომ?

შეაფასე:

- რატომ შეარჩიე ეს ნაწარმოები?
- რას გვიამბობს მხატვარი?
- როგორი განწყობაა სურათში – საზეიმო, მყუდრო თუ საშიში?
- შენ როგორ გუნებაზე გაყენებს ეს ნაწარმოები?
- როგორ ფიქრობ, რა გუნებაზე იქნებოდა მხატვარი, როდესაც ამ სურათს ხატავდა? რატომ ფიქრობ ასე?

